ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3878558

ნომერი: AR1579178

თარიღი : 20.02.2018

გაცემის თარიღი : 22.03.2018

გაცნობის თარიღი : 22.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი გლდანი ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ კოხრეიძე პ/ნ 61003002356
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17"ა" ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის №1374788 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 თებერვლის №AR1579178 განცხადებით მომართა შპს „ბესტი ჯგუფ“-ის წარმომადგენელმა მალხაზ კოხრეიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის №1374788 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებიდან დაადგინა, რომ 2014 წლის 23 ივლისს ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, სოფელ გლდანში დამტკიცდა

სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მომზადდა 72.13.28.310საკადასტრო კოდისა და 2381 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე. დღეის მდგომარეობით განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოხდა საპროექტო ტერიტორიის ფართობის გაზრდა, კერძოდ: საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის №1374788 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 4881 მ2 მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 72.13.28.726) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის №1374788 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-4881 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#72.13.28.726;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 23 ივლისის №1374788 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.